პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

2015 წ. "05" 09

ქ.თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბართენდერი	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067	71	III	67
2	რესტორნის სერვის მენეჯერი	რესტორნის სერვის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112066	109	IV	47
3	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	124	V	32

4	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	123	V	33
5	მეფუტკრე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	84	III	26
6	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040567	70	III	26
7	ღონისძიების მენეჯერი	ღონისძიების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020367	126	V	28
8	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112064	107	IV	50
9	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040680	76	III	37

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №5 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე